

კადეტთა სამხედრო ლიცეუმი



კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, სამხედრო სასწავლებელი, დაარსდა 2010 წლის 2 აგვისტოს, ქ. ქუთაისში. 2014 წ. 15 სექტემბერს ლიცეუმს გენ. გ. კვინიტაძის სახელი მიენიჭა და აღნიშნული თარიღი კ. ს. ლ-ის დღედ გამოცხადდა. 2012 წ. 1 ივლისს ლიცეუმის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება შედგა.

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ემბლემა

კ. ს. ლ-ში სასწავლო პროცესი განათლებისა და მეცნ. სამინისტროს ეროვნ. სასწ. გეგმის და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. ლიცეუმი პანსიონური ტიპისაა და კადეტებს საცხოვრებელი პირობებით, სამედ.

მომსახურებით, კვებით და სასწ. სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს. კადეტები მონაწილეობენ ეროვნ. ოლიმპიადებში, სასწ. შემოქმედებით კონფერენციებში, სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში.
